№ 261 დეკემბერი 8, პარასკევი 1889 დეკემბერი 8, პარასკევი № 261


გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს, ან გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

მომავალ 1889 წლის იანვრიდგან ჟურნალი „თეატრი“ გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირთა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღთქმული გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანამშრომლობა ჟურნალში. ჟურნალის უმთავრესი დანიშნულება იქნება მისცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექმნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექმნება ხასიათი არა მარტო დღიური, არამედ მომავლისათვისაც. ჟურნალს აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეავსოს თავისი პროგრამა დროებისა და გარემოების მოთხოვნილების დაგვარად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ამ ადრესით: Въ книжный магазинъ Г. Чарквіани и Р. Панцхава.

ქუთაისში: ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გორში: ილია ნატროევთან.

სენაკში: სამსონ ყიფიანთან.

ზუგდიდში: ექიმ აბელ იაშვილთან.

ახალციხეს: ზაალ ზაალოვთან.

(6—1)

---

ტფილისი, 7 დეკემბერი

წელიწადი ისე მშვიდობით არ გაივლის, რომ უბედურება რამ არ მოუტანოს ჩვენს სოფელსა და გლეხ-კაცობას და უიმისოდაც შევიწროებული მისი ყოფა უფრო მომეტებულად არ შეავიწროვოს. გვალვა, სეტყვა, საქონლის ჭირი, კალია, ვაზის სენი ხან ერთმანეთს მოსდევს რიგ-რიგით, ხან ორი და სამი ერთად ზედ აწყდება თავს. გლეხ-კაცი, სოფელი-კი, თავის უცოდინარობის გამო, ძალიან ნაკლებ არის მომზადებული შეებრძოლოს ამ ბუნების საშინელ სტიქიონებს და გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებს ზეცას,—აცა, როდის, ან საიდგან მომივა შველაო. ვერც თითონ გლეხ-კაცობა თავობს მიეკედლონ ერთმანეთს, მისცენ ხელი-ხელს და საერთო ძალით, სოფლობრივ ღონისძიებით შეებრძოლონ ბუნებას და ჯერ-ჯერობით არც განათლებულ საზოგადოებაშია დამკვიდრებული და დამწიფებული ის აზრი, რომ დროა დაარსდეს დამზღვევი საზოგადოებანი იმ სხვა-და-სხვა ზარალისა, რომელიც მოსდის სოფელს ათას გვარის ჭირისა და ვაგლახისაგან: სეტყვაა თუ გვალვა, კალიაა თუ წყალდიდობა, ჭირია საქონლისა თუ სენი ვაზისა...

მარტო ამ გვარი უბედურება არ უშლის სოფელს წინ-მსვლელობასა და წარმატებას. რიგიანის გზების უქონლობა, რომ დროზედ და გაუჭირებლივ გაიტანოს ბაზარში თავისი ნაშრომ-ნაღვაწი, გაძვირებული ძველის ოჯახის დარღვევა და დანაწილებაც და ბევრი კიდევ სხვა გარემოება დიდად უშლის ხელს სოფლის კეთილდღეობას.

საყურადღებო გარემოებაა ძველის ოჯახის დარღვევა, დანაწილება, ანუ გახშირება გაყრისა. ოჯახი, რომელშიაც იყო ათი, თხუთმეტი და ბევრჯელ ოცი სულიც, ნაწილდება ხუთ-ექვს კომლად. ძმა ძმასთან ერთად ვეღარ თავსდება და იყრებიან. ამასთანავე, რასაკვირველია, ნაწილდება ქონება და მამულიც. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხალხის რიცხვიც თანდათან მატულობს, ცხადი იქნება, რომ მალე დადგება ის დღე, როცა ჩვენს გლეხს ძალიან შეუმცირდება სახნავ-სათესი და ეხლანდელზე უფრო ძნელად გაუჭირდება ცხოვრება და ჭიდილი ლუკმა-პურის შოვნისათვის...

თუ ჩაუკვირდებით სოფლის ვითარებას სახნავ-სათესის სიცოტავის გამო, დღეს ბევრგან არა სასიამოვნო, უნუგეშო ამბავს შენიშნავთ. უწყალოდ სჩეხავენ დაბურულს ტყეებს, აკეთებენ ახოებს, ხვნენ კორდებს, ყამირსა და ხრიოკებს. იქ, საცა წინად მთელი ნახირი სოფლისა თავისუფლად დადიოდა, ეხლა გუთნეულიც ვეღარ იშლება. საძოვრის სიძვირე და უქონლობა უეჭველია გამოიწვევს საქონლის რიცხვის შემცირებას, და უსაქონლოდ ხომ სოფელი ვერ ისოფლებს, გლეხს ხელ-ფეხი შეეკვრის და ხვნა-თესვის წარმატება, მიწის ნაყოფიერება შეუძლებელია...

ჩვენს სოფელს, ჩვენს გლეხ-კაცობას, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, უცოდინარობის გამო, თავოსნობის უნარი აკლია. მეჯოგეობა, მე-

---

## ფელეტონი

### ძეგლის დება

მეფე გიორგი ბრწყინვალესი.

#### I

მეფე გიორგი ბრწყინვალე შესანიშნავია, სხვათა შორის, ღვაწლით, რომელიც დასდო ჩვენს სჯულ-მდებლობას. მეფემ არა თუ მარტო გაანთავისუფლა საქართველო მონგოლებისაგან, არამედ სამშობლოც განაახლა, წესი და რიგი აღადგინა, ხალხს ახალი სჯული მისცა. ჩვენის ისტორიისა და სჯულ-მდებლობის მკვლევარისათვის ეხლა შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრწყინვალე მეფემ საერთო სჯული დაუდგინა მთელს თავის სამეფოს, რომელსაც იმის დროს დიდი ადგილი ეჭირა, შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე. სამწუხაროდ, დროთა და ჟამთა ბრუნვის გამო, იგი საერთო სჯული დაიკარგა და ჯერ-ჯერობით ვერსად უპოვნიათ. მუხთალს ბედს გადარჩა მხოლოდ ძეგლის დება,—მთიულების სჯული, რომელიც მეტად საყურადღებო უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც-კი ჩვენი წარსული უყვარს და მის შესწავლას მისდევს.

პირველადვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ძეგლის დება მთელის მთიულეთის სჯულს არ შეადგენს, იგი როდი შეეხება საზოგადოდ ყველა მთიულების იურიდიულს ცხოვრებას, არა,—ძეგლის დების საბძანებელი ვიწრო და მცირე ადგილს შეიცავდა, ქსნისა და არაგვის რამდენსამე ხეობას და მეტს არაფერს. მაინც ძველადვე კავკასიონის ყველა ხეობას და პაწია ადგილს თავისი ადათი და ჩვეულება ჰქონდა,—იქ თითოეულს თემს, საზოგადოებას, სოფელსაც-კი საკუთარი ადგილობრივი ადათი მოეპოვებაო, ჩვეულებანი ერთმანეთისაგან განსხვავებული და განცალკევებულიაო[1]). ამ გზას არც ჩვენი მთიულეთი ასცდა. აქაც თითქმის ყველა ხეობაში საკუთარი ადათი არსებობს და მოქმედობს, თუმცა ყველა კერძო ადათს საზოგადო ხასიათიც ამჩნევია და საერთო ფერი სძევს. ძეგლის დებაც სწორედ რამდენისამე თემისა და ხეობის სჯული იყო, მაგრამ ამ სჯულს მაინც ცხადად დაეტყო ჩვენის მთიულეთის საზოგადო ზნე-ჩვეულებათა ბეჭედი. მეტი არ იქმნება ისიც აღვნიშნოთ, რომ თვით სახელმწიფოც თითქო ხელს უწყობდაო ადგილობრივს ადათს და ამიტომაც ზოგიერთს შემთხვევაში საკუთარი უფლება ჰქონდათ მინიჭებული ქსნის ხევლებს და არაგვის ერისთავის კაცებს[2]). დიახ, ძლევა-მოსილმა მეფემ საკუთარი სჯული დაუდო ქსნის ხეველებს და არაგველებს,—„ჯვართა ყელს აქეთ, ხადაცხოტს, ზანდუკის ხევს, კიბეთ, ქვეშეთ და მენესოს ზემოდ ეს განაჩენი დავდევითო“... მართალია, მთლად ეს ხეობები პატარა ადგილია, მაგრამ ძეგლის დება დიდის ყურადღების ღირსია, დიდ-მნიშვნელოვანი ნაშთია ძველის სჯულმდებლობისა, რადგანაც ნათელს ჰფენს ჩვენის წარსულის წყვდიადს და ცხოვლად გვიხატავს შორეულს სურათს, რომელიც ბევრად აწინდელსაც მიაგავს.

მხოლოდ საჭიროება და ცხოვრების მოთხოვნილება ჰბადავს სჯულმდებლობას. ეს საზოგადო მოვლენაა. საქართველოშიაც სწორედ ასე იყო. ამას ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტორია ამტკიცებს. მეფე გიორგი ბრწყინვალემაც საჭიროებისა გამო დასდო თავისი ძეგლი: „ყოლ სამართალი აღარ იყო-და... აღარ იქნებოდა განაჩენ დაუდებლობათ“, ასე ბძანებს ძეგლის მდებელი. წინასიტყვაობაში ვრცლად მოხსენებულია, მთაში რა უწესოება და უსამართლობაც არსებობდა და ნიშნობლივ რისთვის იყო საჭირო „განაჩენის დებულობა“.

ძეგლის დება ერთად-ერთი მაგალითი როდია მთიულების ადათის აღწერისა. თუ ჩვენში არა, სხვაგან მაინც, აი თუნდა დაღესტანში, ჯერ ისევ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეს ომარ-ხანმა და როსტომ-ხანმა აღწერეს და ცალკე კრებულად შეადგინეს ლეკების საადათო ჩვეულებანი[3]). თუ საგანსა და შინაარსს დავუკვირდებით და ამ მხრივ შევადარებთ ერთმანეთს, მაშინ ჩვენი ძეგლის დება როსტომ ხანის კრებულს მოგვაგონებს და ვინ იცის, იქმნება მეფე მეზობლების ბაძითაც ხელმძღვანელობდა, როცა თავის მთიულებს კერძო სჯული დაუდო...

ძეგლის დება სამოქალაქო ანუ საერო სჯულს შეადგენს, „სოფლიო“ კანონია—„ჩვენ სოფლიოსა ამისი სისხლი, პატივი და სასაქმო გაგვიჩენიაო“, და ამიტომ არ შეეხება საეკკლესიო და სასულიერო საქმეებს. ამ საქმეებს განაგებდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოზნი და იქ, სადაც ძეგლის დებას სასიხლო და სამოქალაქო სამართალი ებარა, „სხვა, რაც სასჯულო საკითხავი იყოს, კათალიკოზს და ეპისკოპოზებს ჰკითხონო“... ეს განცალკევება სამოქალაქო და საეკკლესიო საქმეებისა ახალს არაფერს წარმოადგენს, რადგანაც სულ ძველადვე სასულიერო წოდებას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სამეფოში, თავისი მმართველობა ჰქონდა, თავისი კანონი, სამართალი[4]). როცა მეფე გიორგი ბრწყინვალემ ურჩი მთიულეთი „დაუპყრო ტახტსა და სკიპტრასა“, ადგილობრივი საეკკლესიო გამგეობაც საზოგადო სახელმწიფო წესსა და რიგზედ მოაწყო. ეს მოწყობა ხომ თხოულობდა სასულიერო წოდებას თავისი უფლება არ ჩამოერთმიოდა. ამიტომ, თუმცა მეტად მოკლედ, მაგრამ ძეგლის დებამ მაინც ცხადად გამოსთქვა, რა ეკუთვნის და ეკითხების საერო სჯულს და რა—საეკკლესიოს.

რასაკვირველია, ძეგლი ვრცლად ჰხატავს მთიულების შინაგანს წეს-წყობილებას, ეგრედ წოდებულს ადმინისტრატულ მმართველობას. ფრიად საინტერესოა საცოდნელად ეს მმართველობა, რადგანაც, სხვათა შორის, მოგვაგონებს ჩვენს სახელმწიფოს საზოგადო ცხოვრებასაც. თქვენ პირველ შეხედვაზედვე ჰგრძნობთ, რომ სახელოვანმა „ხუროთ-მოძღვარმა“ (ასე უწოდებს ჩვენი მატიანე მეფე გიორგი ბრწყინვალეს) მართლაც და ხელოვნებით ააგო ადმინისტრატიული შენობა, რომელშიაც ლაღი მთიული შეუვიწროებლად მოთავსდა თავისის, ჩვეულებით. შეიძლება იფიქროთ კიდეც, რომ ეს შენობა რთულია და სულს შეუხუთავდა თავისუფალს მთიულსაო, მაგრამ ასე როდი იყო: სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ხალხს ჰპატრონობდნენ საკუთარი ადგილობრივი მოწესენიც და თვით-მმართველობა ხომ ისე იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფო და თემი ერთმანეთს არ სჭარბობდნენ, არ სჩაგრავდნენ. ძეგლის დების გამგეობის ღირსებაც იმაშია, რომ მთიულის თვით-მმართველობას და სათემო თავისუფლებას არა მოაკლო-რა, მხოლოდ თემი და სახელმწიფო დააკავშირა, ერთმანეთს დაუმორჩილა.

მმართველობა ებარათ უფროსსა და უმცროსს მოხელეებს ძეგლის დებაში მოხელენი მთელს ჯგუფს წარმოადგენენ; მთელი დასი იერარქიულად მოწყობილია,—ერთი მოწესე მეორეს ემორჩილება, მეორე მესამეს და სხ. სამწუხაროდ, განმარტებული არ არის, რა უფლება და მოვალეობა ეპყრა თითოეულს მოხელეს, რა ეკითხოდა, რაზედ მიუწვდებოდა ხელი და რაზედ არა. ჩვენ ეს ნაკლი ცოტა მაინც უნდა შევავსოთ, ცოტად იმიტომ-რომ მასალა ნაკლებად მოგვეპოვება.

#### II

ადგილობრივ მოხელეებში პირველი პირი ერისთავია. აქაც ერისთაობას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც საზოგადო სახელმწიფოში ჰქონდა: პირველად ერისთაობა უმაღლესი გამგეობაა, მეორედ წოდებრივს ღირსებას ნიშნავს[5]). ძველს საქართველო-

---

[1]) Проф. Леонтовичъ, „Адаты Кавказскихъ горцевъ“, выпускъ 1, стр. 24—25.

[2]) მაგალითებრ, როცა ბატონი სალაშქროდ წაბრძანდებოდა, იხ. „დასტურლამალი“, ჰ. უმიკაშვილის გამოცემა, გვ. 85, 1, § 180.

[3]) Адаты Кавк. Горцевъ, І. в. стр. 42—45.

[4]) სასულიერო წოდების მოწყობილობაზედ იხილე ბროსეს Introduction, § 6 Clergè, CIX etc.

[5]) ბროსეს Introduction, p. LXXX. [illegible] თავი მეფის [illegible]

სვეურობა მოვალეა იკისროს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ, იმ საზოგადოებამ, რომლისათვისაც ბედს ურგუნებია სოფლად ყოფნა, გლეხ-კაცობაში ტრიალი.

ამ მხრით ცოტაოდენი უნარი უკვე გამოიჩინა ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ და ბევრგან დააარსა სასოფლო ბანკები, მაგრამ მათი ბედი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო რიგიანად ვერ წავიდა. სოფელს არ შეეთვისა, გლეხ-კაცობაში ფეხი ვერ მოიკიდა ამ ახალმა შემოღებამ და მალე ბოლო მოეღო ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს. ამისთანა მოღვაწეობას სოფლად, პატიოსან სურვილსა და საქმის სიყვარულს გარდა, დიდი მხნეობა, გარჯა და განსაკუთრებითი ცოდნა უნდა. სოფლის მოღვაწესთვის საჭიროა აგრეთვე მედგარი, მტკიცე ხასიათი და გაბმული, გამუდმებული გარჯელობა, რომლითაც ასე გაითქვეს სახელი გერმანელებმა. უამისოდ, რაც უნდა კეთილის განზრახვითა და სიყვარულით დაიწყოს კაცმა საქმე, ახალი შემოღება, ახალი წესი არ მოგვარდება, წინ ვერ წავა, ფეხს ვერ გაიბოძიძგებს, სოფელს არ შეეთვისება...

მცირედის სარგებლის შოვნა ფულისა სესხად, გაჭირებაში ხელის გამართვა დიდი საქმეა სოფლისათვის. უამისობა სულსა ჰხუთავს სოფელს და ისე უცარავს ხელს, რომ მთელი ოჯახობა, ხან გაძლიერებული და აღელებულიც-კი, უკან-უკან მიდის და ხშირად პირ-ქვე ეცემა. ორი აბაზი რომ დასჭირდეს გლეხს, იძულებულია მიჰმართოს სოფლის უსინდისო მოვახშეს, ზარაფს, რომელიც მამასისხლად და ერთი ასად ახდევინებს ნასესხებს ფულს. წვრილმანი ვალი კიდევ არაფერი. საქმე მაშინ არის, როცა ორი აბაზი-კი არა, ორი მანათი და ხან ორი თუმანიც საკმაო არ არის ხოლმე სოფლელისათვის, რომ კარზე მომდგარი მოსავალი შინ შემოიტანოს, ან სახლში ჩამდგარი იასაული გაისტუმროს. ან მზა-მზარეული მოსავალი ძაღლმა და ღორმა უნდა შეჭამოს და მინდვრად დალპეს და გაოხრდეს, ან ჩალის ფასად გაჰყიდოს, რაც გასაყიდია ფულის შოვნისათვის, ან არა-და, მეტი ღონე არ არის, ურიის ვალი უნდა აიღოს, ულმერთო სარგებელი იტვირთოს, მოსავალი წინდაწინვე დააგიროვოს ერთი ხუთად და ერთი ათად იაფად.

სოფლელთა უნუგეშო და არასანატრელს მდგომარეობას ეხლავე ეჭირვება შველა და საფუძვლიანი დახმარება. უნდა ვეცადნეთ რასმე, ვიდრე ჯერ კიდევ დროა, ვიდრე ჯერ კიდევ ჩვენი მხვნელ-მთესველი იმ გაჭირებაში არ ჩავარდნილა, რომელშიაც იმყოფება ერთი ნაწილი უკვე მიწას მოშორებულის გლეხ-კაცობისა გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და თვით საფრანგეთშიაც, სადაც სამუშაოს მძებნელი, მუშაობის მსურველი ბევრია და სამუშაო-კი არ არის. ჩვენის აზრით, მთავრობა იქმნება, თუ განათლებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, ეხლავე უნდა შეუდგეს საქმეს და გაუჩინოს გლეხს და საზოგადოდ სოფლის მწარმოებელს იაფი კრედიტი, გაუჩინოს სახსარი ფულის ადვილად შოვნისა სესხით, მოუსპოს ღონე კერძო ზარაფებისა და ფულის პატრონების ფართფაშობას, დააარსოს და გაამრავლოს სამეურნეო ამხანაგობანი, უშოვოს უმამულო გლეხობას სახელმწიფო მიწები, სადაც მოსახერხებელია, და ბოლოს გაავრცელოს სოფლად სამეურნეო სწავლა-განათლება, მისცეს, გაუღვიძოს ბეჩავს სოფელს, სოფლის კაცს შრომა და სურვილი თაოსნობისა, საქმის დაწყებისა, რათა სხვის დაუხმარებლივ შეეძლოს თავისი მოვლა და პატრონობა.

სხვის პირში ცქერა, სხვისის ხელით ნარის გლეჯა, ლოლიაობა და ტორტმანი ამისთანა სიკვდილ-სიცოცხლის საქმეში დამღუპველია არა თუ გლეხ-კაცობისათვის, არამედ თვით მთელის ერისათვისაც.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ კუკიის ნიკოლოოზის ეკლესიასთან დაარსებულ სამზრუნველომ გამართა ხელის მოწერა თავის სამრევლო სკოლისათვის შენობის ასაგებად. ამ კეთილ საქმისათვის დღეს წვრილად შეგროვილ ფულს გარდა სხვა-და-სხვებს შემოუწირავთ აგრეთვე ფულად 220 მან. და ნიკ. ზაალიშვილს-კი ათასი კრამიტი.

⁂ ამ დღეებში ქალაქში დაიბეჭდა ბეითალის ბ-ნ მეშჩერსკის მიერ შედგენილი წიგნი: დარიგებანი პირუტყვთა წამლობისათვის (Совѣти лѣченія животныхъ), რომელიც ფრიად სასარგებლო წიგნად მიგვაჩნია მეურნეთათვის. ხოლო უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ ავტორს იგივე წიგნი ქართულს ენაზედაც გადმოეღო და დაებეჭდა. წიგნი ღირს ერთი აბაზი.

⁂ გზათა სამინისტროს განუზრახავს 100,000 მანათი გადასდოს გზის გასაკეთებლად სხვათა შორის სოჭიდამ ახალ ათონის მონასტრამდე და ბათუმიდამ ახალციხემდე. ამავე სამინისტროს გადაუდვია აგრეთვე 150,000 მანათი შავის ზღვის პირად გზის გასაყვანად ახალ ათონის მონასტრიდამ სოხუმამდე.

⁂ 5 დეკემბერს, სამშაბათს, ქართულს თეატრში ვნახეთ გურიის „დროუქინის“ მემუსიკეთა ხორო და მოვისმინეთ ის ხმები, რომელიც ამ ხორომ დაუკრა ბ-ნის [illegible]ეშელავას ლოტბარობით. მემუსიკენი სულ გურულები იყვნენ, რიცხვით 14 კაცი, და ჩინებულადაც უკრავდნენ ზოგიერთს ძნელს კლასიკურს პიესას. საკმაოდ კარგად დაუკრეს აგრეთვე ბალანჩივაძის „პოპური“, შედგენილი სხვა-და-სხვა ქართულ სამღერელ საგალობლებისაგან. საზოგადოება ცოტა დაესწრო, მაგრამ ვინც დაესწრო, დიდად ისიამოვნა ამ ქართველთა მემუსიკეთა ხოროს ნახვით, იმათის მუსიკის დაკვრის ხელოვნებით და ყველა ხარობდა, რომ ასე კარგად და მშვენივრად შეუსწავლიათ მუსიკის დაკვრაო. არა ნაკლებად ისიამოვნა საზოგადოებამ გურულის ცეკვა-თამაშობითაც.

⁂ ბათუმი: ძალიან გავიმარჯვეთ ბათუმელმა ქართველებმა. ამ ცოტა ხანში 1,500 მანეთი ერთი შევაგროვეთ ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის სასარგებლოდ და 316 ერთი, სულ 1866 მან. შედარებით რომ ვსთქვათ, არც ერთი ჩვენი პროვინციის ქალაქი არ იჩენს ამდენს უნარს სამადლო-საქველო საქმისას, როგორც ჩვენი ბათუმი. იმ დღეს კიდევ სომხებმა გაამართვინეს აქაურს საოპერეტო დასს წარმოდგენა და ნახევარი შემოსავალი სომხების სკოლას უნდა დარჩენოდა. ხალხით სავსე იყო თეატრი და ფული, რასაკვირველია, ბლომად შემოვიდა. აქაურმა ქალაქის საბჭომ ჩვენს სკოლას დაუთმო 400 ოთხ-კუთხი საჟენი სკოლის შენობისათვის. ადგილი ჯერ-ჯერობით ჭაობიანია, მაგრამ ამ ორის წლის შემდეგ სულ დაშრება, რადგანაც თვით საბჭომ იკისრა ამ ადგილის და მის მიდამოს ამოშრობა. ეს ადგილი შიგ შუა ქალაქში მოჰყვება რკინის გზის სადგურს ახლოს. ამ ცოტა ხანში ეს ადგილი უნდა გაასინჯოს აქაურმა სასკოლო კომიტეტმა, „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობის თხოვნით, ქალაქის ხუროთმოძღვარს, რომელმაც უნდა შეადგინოს გეგმა და შეჰკრიბოს ცნობანი, შეიძლება ეხლავე დავიწყოთ შენობა, თუ არა. ძალიან შეაფუცხუნეს აქაურები ღამის რაინდებმა, რომელთა სითამამეს საზღვარი არა აქვს. ისე არხეინად იქცევიან ეს ქურდ-ბაცაცები, თითქოს აქ არაფერიაო.

⁂ სოფ. კაკი (საინგილო): სოფელ ყორაღნელებმა ამას წინად 6—7 ვერსის მანძილიდგან დიდის გაჭირებით

---

ში როდი იყო განსაზღვრული, თითოეულს მოხელეს (ხელის-უფალს) ნიშნობრივ რა მოვალეობა და უფლება ჰქონდა. თუ მუდმივ არა, ხშირად მაინც ერთსა და იმავე მოწესეს ხელი მიუწვდებოდა მრავალ გვარ საქმეზედ. მართალია, სახელმწიფო სცდილობდა განესაზღვრა და განეცალკევებინა ერთმანეთისაგან სხვა-და-სხვა უფლება (раздѣленіе властей), მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. საქართველოს თვით-მყოფელობა ისე მოისპო, რომ სახელმწიფომ თავის წადილს ვერ მიაღწია, იმიტომ-რომ ამ წადილს წინ ეღობებოდა შინ ფეოდალობა და გარედ კიდევ უცხოს ბატონობ. ერთიც და მეორეც ძლიერ აბრკოლებდა ჩვენს პოლიტიკურს განვითარებას. ერისთაობაც როდია დამთავრებული და განსაზღვრული სამმართველო დაწესებულება. ერისთავი ყველა ბძანდება, ყველაფერი ეკითხების, მის ხელთ ყველაა; რაც-კი კეთდება საერისთოში, მის დაუკითხავად არა კეთდება, საერისთაოს ბატონიც არის და პატრონიც. კერძოდ, ძეგლის დების სიტყვით, ერისთავს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო საბჭოსთან, ეგრედ წოდებულ დარბაზთან, რომელიც უმაღლეს დაწესებულებას წარმოადგენს. რაც-კი რამე სადარბაზოდ მოსახსენებელია, პირველად ერისთავმა უნდა მოახსენოს: „ერისთავმან დარბაზს ჰკადროს“... (ძ.-დ. მუხ. ე და სხ.). მაგრამ მაინც ერისთავი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადმინისტრატიულს მმართველობას და ამიტომ მის მოვალეობას უფრო ეს მმართველობა შეადგენდა.

ერისთავის მარჯვენა ხელად გამგებელი უნდა ჩაითვალოს. ძეგლის-დებაში გამგებელი ერისთავს გვერდით უდგია, თუმცა-კი იმის სწორი არ არის და შორს სდგას იმის ღირსებაზედ. ეს მარჯვენა ხელი თავისის უფროსის მოადგილეა და ხალხთან ახლო დამოკიდებულება აქვს. გამგებელი ყველაფერს ერისთავის სახელით განაგებს; მას აძლევს პასუხს, ანგარიშს. მხოლოდ ამ ორთ შეეძლოთ და უფლება ჰქონდათ საქმე „დარბაზსა ჰკადრონ“, რომელსამე დიდს დამნაშავეს შეწყალება მისცენ და სახელმწიფო საბჭოსთან შუამდგომელობა გაუწიონ (ძ.-დ. მუხ. ზ, თ). რადგანაც ღირსებით გამგებელი დაბლა იდგა თავის უფროსზედ, ამიტომ გამგებლად უნდა ყოფილიყო მსახური და აზნაურიშვილი (იქვე, მუხ. ბ, დ). გამგებელსაც ყველაფერზედ ხელი მიუწვდებოდა,—არა თუ კერძოდ მმართველობა, გამგეობა ებარა, არამედ სამხედრო და სამართლის საქმეც. იგი თავისის უფლებითა და მოვალეობით სრულიად მიაგავს ერისთავს, თუმცა იმისი ხელქვეითია.

საკუთრად იხსენიება მოურავი, რომელიც დარბაზს არაფერს „ჰკადრებს“, მაგრამ იმის ბძანებას-კი ასრულებს,—„მოურავეთა პირითა მამული ებოძოსო“ (ძ.-დ. მუხ. ზ). მაშასადამე, მოურავი ბძანების აღმსრულებელია და, ამას გარდა, თუ მარტო ძეგლის-დებას დავემყარეთ, მოურავს არა ეკითხოდა-რა, მაგრამ ასე როდი იყო: მოურავს მრავალ გვარი მოვალეობა ეპყრა და ამისდა გვარად თვით მოურავობაც სხვა-და-სხვა ნაირი იყო. ჯერ ერთი ესა, რომ მოურავი ხანდახან ჯარის კაცად ითვლებოდა და ციხე-სიმაგრენი ებარა („ციხეთა მოურავი“ [6]). ზოგჯერ ხევის-თაობაც ჰქონდა, მაგ., ხ. ატენში— „ხევის-თაობა მოურავისა არის“ [7]). ხევის თავის უმთავრესს მოვალეობას ბჭობა და სამართალი შეადგენდა, და რადგანაც ასე იყო, თვით მოურავსაც სამართალი ეკითხოდა. როდესაც მთავარ-მსაჯული, მდივანბეგი ტფილისში არ იყო, მოურავი ასრულებდა იმის მოვალეობას. მაგრამ მდივანბეგის ყოფნის დროსაც, თუ სატახტო ქალაქში ორი სოფლის კაცი ერთმანეთს უჩიოდა, საქმე და საჩივარი მოურავს უნდა განებჭო [8]). ყველა ეს კიდევ არაფერი. მოურავი მმართველობის წევრიც არის, პოლიციის მოხელეა და სამსახურით მაღლა სდგას ნაცვალსა და მამასახლისზედ. ამ სამსახურისათვის მოურავს სოფლისაგან ეძლეოდა, სხვათა შორის, ჯარიმა ბოზობის ქმნისათვის, თავის გასამტეხლო, გასამჯრელო [9]). მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხშირად მოურავი მთელს მაზრას ჰმართავდა (მაგ., ქიზიყის მოურავი ანდრონიკაშვილი; ჩოლოყაშვილებს ჰქონდათ ნაბოძები თუშ-ფშავის მოურაობა და სხ.). მაშასადამე, მოურავის უფლება და მოვალეობაც მრავალ გვარი იყო, მოურავს სხვა-და-სხვა საქმე ებარა, მისი საბძანებელი ხან მცირდებოდა და ხან ფართოვდებოდა [10]). აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საეკკლესიო გამგეობას თავის დაბა-სოფლებში საკუთარი მოურავები ჰყავდა, ნაცვალსა და მამასახლისს გარდა [11]), მაგრამ საეკკლესიო მოურავს ძეგლის-დება არ იხსენიებს. თუ ჩვენი განმარტება მოურაობისა საფუძვლიანია, მაშ მთიულეთის მოურავიც მარტო დარბაზის ბძანების აღმსრულებელი არ უნდა ყოფილიყო და, ვგონებთ, არც იყო...

ვრცელს ადმინისტრატიულს შენობაში ეგრედ-წოდებულს ხევის-თავსაც საკუთარი ადგილი ეჭირა, თუმცა-კი ძეგლის-დება გაკვრით იხსენიებს ამ ხელის-უფალს და არ გვიჩვენებს, სახელდობრ რას შეადგენდა ხევის-თაობა. სიტყვის მნიშვნელობისაგან-კი სჩანს, რომ ხევის-თავი უფროსი იყო მთელის ხევისა. მართალია, ხეობა პატარა ადგილია, მაგრამ ხევის-თაობა-კი მეტად საპატიო სამსახურად ითვლებოდა. ამიტომ მეფეები ხევის-თაობას უბოძებდნენ დიდის ღირსების ხელის-უფალს, როგორიც ბოქაულთ-უხუცესი იყო, თუ არა-და, რომელსამე წარჩინებულს ფეოდალს, მაგალითებრ ფარსადან მაჩაბელს [12]). ხევის-თავის პირდაპირი მოვალეობა მსაჯულობა იყო. წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შემოევლო თავისი ხევი. გაიყოლებდა მუშრიბს (მწერალს), ათს ცხენიან კაცს და თითო სოფელს ცალკ-ცალკე დაივლიდა. სადაც-კი მივიდოდა, ყველა კომლს ძღვენი უნდა მიეტანა. ხევის-თავი კიდევ ერთის სოფლიდგან მეორეში მიდიოდა, ქურდებს სდევნიდა, მათ გზა-კვალს დაეძებდა. თავის გასამრჯელოში, მადიანს ძღვენს გარდა, ჯარიმიდგან ნაწილი ეძლეოდა, „სახევის-თავო“ [13]). რაკი ხევის-თავის პირველს მოვალეობას მსაჯულობა შეადგენდა, ამიტომ იგი იერარქიულად მსაჯულთ-უხუცესის, მდივანბეგის ხელ-ქვეითი იყო [14]). მთელს სიგელებში მოხსენებულია, რომ ამ მოხელეს სხვა რამეც ეკითხებოდა: ზოგჯერ ხევის-თავი ხარჯსაც ჰკრეფავდა და ხვედრს ნაწილს აბარებდა სამსახურის კაცებს [15]).

გარკვევით ნაჩვენებია ვინ იყო და რა იყო ხევის-ბერი. ძეგლის სიტყვით, ხევის-ბერი თითონ ხომ ჯარის-კაცია, მაგრამ მთელის ხევის ლაშქრის უფროსობაც ნაბოძები აქვს დარბაზით,— «ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებიაო“ (ძ. დ. მუხ. ი). „ლაშქართ თავადისათვის“, რასაკვირველია, საჭირო იყო ციხე და ჰქონდა კიდეც (ძ.-დ. მუხ. ე), რომლის ჩამორთმევა დარბაზს შეეძლო და ისიც დანაშაულობისათვის. საყურადღებოა, რომ ამ ლაშქრის უფროსს და მედროშეს, რომლის ფიქრი და მოვალეობა ბრძოლის ველს დასტრიალებდა, ქურდობის საქმეც ებარა და მაშასადამე სისხლის სამართალიც ეკითხოდა (იქვე, მუხ. მე). ღირსებით, ეგრედ წოდებულის „სისხლის დენით“, ხევის ბერი მოსამსახურე-გამგებლის თანასწორია, ერთი და იგივე სისხლი ეურვებათ (მუხ. ვ, [illegible]), თუმცა-კი ხევის-ბერად ამორჩევა, ერისთავს გარდა, გამგებელზედაც იყო დამოკიდე-

[illegible] ადმინისტრატიული მმართველობა აბარია. ამასთანავე იგი [illegible] დიდებულია, მისი სისხლი [illegible] წოდების კაცის სისხლს აღემატება, [illegible] სამართალი, მუხ. კვ, ლე.

6) Двор. Грам., стр. 43.
7) დასტურლამალი, 1. § 18.
8) იქვე, §§ 24, 57, 201.
9) იქვე, §§ 15, 24 II § 23.
10) დასტურლამალის გამომცემელს, ბ-ნს პ. უმიკაშვილს, მარტო სიტყვების თამაშობა მოსდის, როცა ამბობს: „მოურავი გამგებელია, მმართველი რომლისამე ადგილ-მაზრისაო“, გვ. 178. ეს ხომ ყველა ხელის-უფალზედ ითქმის, რადგანაც ყველა გამგებელიც იყო და მმართველიც!..
11) დასტურლამალი, 1. § 56.
12) Двор. Грам., стр. 18, 24.
13) დასტურლამალი, 1. §§ 65, 220.
14) იქვე, გვ. 176.
15) Двор. Грам., стр. 24.

გასთხარეს არხი და წამოიყვანეს წყალი თავის ურწყავ მინდვრებისა და მამულების სარწყავად. ამ საქებურს საქმეში სოფელს, ამას გარდა, დაეხარჯათ ბლომა ფულიც. საქმეს მორჩნენ და საზოგადოებას ეგონა, ახლა-კი მოვისვენებთო, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ კეთილის საქმის ხელის-შემშლენნი. რუის სათავის ახლო მდებარე სოფლელები შეეცილნენ ყორაღნელებს და წრეულს წყალი აღარ დაანებეს. როგორც გვეიგეთ, ეხლა გათხრილი არხიც ადგილ-ადგილ ამოუვსიათ. ამაზედ ასტყდა საჩივარი, რომელიც დღესაც არ გადაწყვეტილა. საკვირველი ეს არის: სად იყვნენ ის მოდავე-მოცილენი მაშინ, როდესაც ყორაღნელებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს და არხის თხრა დაიწყეს. თუ რაიმე უფლება ჰქონდათ, რატომ მაშინვე არ შეატყობინეს ყორაღნელებს?

*** საგარეჯო: 27 ნოემბერს ს. საგარეჯოში მოიყარა ხალხმა თავი თავის სამმართველოს წინ, ერთ-ხმად დაადგინა განაჩენი, რათა სთხოვონ მთავრობას, რომ საერო ექიმის ერთი ვაკანსია, რომელიც ამ იანვრიდგან უნდა დაწესდეს სადმე ჩვენს გუბერნიაში, საგარეჯოში იყოსო. ხალხმა განაჩენით იტვირთა, რომ ჩვენს ძველს სკოლის შენობას დავუთმობთ ექიმსაო. ამ შენობას ენკენისთვიდგან დავუთმობთ, რადგან სასწავლებელს ახალ შენობაში გადავიტანთო. ძველი შენობა თუმცა სასწავლებლისთვის უხერხოა, რადგან ბაზარშია მოთავსებული, ექიმისთვის მეტად სახერხო იქნება, მით უფრო, რომ ხუთი დიდი ოთახია. დაადგინეს განაჩენი. ამ განაჩენებით იკისრეს შეკეთება საგარეჯოს მიერ დაპირებულ შენობისა. ეს ძველი შენობა დიდად საჭიროა სოფლისათვის, რადგან შიგ მოთავსდებოდა იმათი სამმართველო, მაგრამ ექიმის ცოლსაც ისე საჭიროდ ჰრაცხვენ, რომ უთმობენ მთავრობას, ოღონდ-კი მკურნალი გაგვიმწესოსო.

*** იქიდამვე: წელს ზაფხულის წარმოდგენების ფულით და კიდევ სხვა-და-სხვა შემოწირულის ფულითაც საგარეჯოში იყიდეს ბლომად ქართული და აგრეთვე რუსული წიგნები. აპირებენ ბიბლიოთეკის გამართვას. წესდება, სია წიგნებისა და აგრეთვე თხოვნა ნება-რთვისა უკვე მზად არის და იგზავნება, სადაც ჯერ არს.

*** სოხუმი: სოხუმლებმა განიზრახეს თვით-მმართველობის შემოღება და უნდოდათ შუამდგომლობა დაეწყოთ მთავრობის წინაშე, მაგრამ გუბერნიის უფროსმა ურჩია, ჯერჯერობით მაგ აზრს თავი დაანებეთ, რადგანაც ქალაქს ოც-და-ხუთი ათასის მანეთის მეტი შემოსავალი არა აქვს; როცა შემოსავალი იმატებს, მაშინ შეიძლება მოითხოვოთ თვით-მმართველობაო.

*** იქიდამვე: აქ გვესტუმრა ვიღაც როზოვი, რომელმაც რამდენიმე ლექცია წაიკითხა მეფრინველობის შესახებ. იმის ლექციებზე მხოლოდ ორმა აზირებულმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, სხვათა მრავალთა შორის. ერთი ის იყო, რომ ხურმას არაფერი აფუჭებს, ბევრს ისხავს, გააშენეთო. განა აქ ცოტა ხურმაა, რომ გასავალი არა აქვს და ფუჭად იკარგება? მეორე ამბავი ისაა, რომ ფუტკრები ყურძენს წუწნიან, იმითი თვრებიან და შემდეგ ჩხუბი მოსდით ერთმანეთშიო.

*** იქიდგანვე: აქ მხოლოდ ოქტომბრის 15—16 რიცხვებში ცოტაოდენი სიცივე დაიჭირა, მაგრამ მას აქეთ მშვენიერი თბილი დღეებია; მაისი გვგონებათ, გრძელი დღეები რომ იყოს.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ალაგი თქვენს გაზეთში შემდეგს შენიშვნას: ჩემგან დაარსებულ წიგნთ-საცავში ჯერ თუმცა ქართული წიგნი მრავალი გვაკლია, მაგრამ ამ ჟამად პატიმარნი გორის საპყრობილესი უფრო საჭიროებენ ქართულ ანბანსა, დედა-ენასა და აგრეთვე ქართულის ენით რუსულ ენის შესასწავლებელს წიგნებს. ამიტომ უმორჩილესად მივმართავ პატივცემულს საზოგადოებას, ნუ დაჰზოგავენ თითო-ოროლა ამ გვარს წიგნს შემოსაწირავად გორის პატიმართათვის. შემოწირულობანი გამოიგზავნება ჩემს სახელობაზე.

გორის სომხთა სობორის მღვდელი ტერ-ელიშე ტერ-სააკოვი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Новое Время“-ს ერთს უკანასკნელს ნომერში ფრიად საინტერესო კორრესპონდენციაა დაბეჭდილი პარიჟიდგან. კორრესპონდენტი შეეხება სტუდენტ-ქალების გამოცდას და სხვათა შორის მოგვითხრობს ერთის ქალის მიერ დისერტაციის წაკითხვას. სცენა სამედიცინო საზოგადოების საბჭო დარბაზში სწარმოებს. უშველებელს დარბაზში გამწკრივებულია სტოლები, რომელთა გვერდზედ ხუთი პროფესორი ჰზის ფაკულტეტისა. მთელი დარბაზი სავსეა უმაწვილის გაცებით, განსაკუთრებით ქალები არიან ბევრნი.

მოსწავლე ქალები ძალიან სადად არიან ჩაცმულნი, სახეზედ დაჯანცვა და დაღლილობა ეტყობათ და იმ მუშა ქალებსა ჰგვანან, რომელნიც დამეს ათენებენ და დღეს აღამებენ, რომ სნეული მშობლები და მცირე-წლოვანი და-ძმები ასაზრდოვონ. ეს ქალები თითქმის უმეტესად რუსეთის ებრაელები და პოლშელები არიან.

აგერ კარები გაიღო და პროფესორების წინაშე წარსდგა ყმაწვილი ქალი. ეს დოქტორი-ქალი გელახია.

თავმჯდომარე რამდენსამე ალერსიანს სიტყვას ეუბნება, დასძენს, რომ თქვენი ნაშრომი ფრიად საყურადღებოაო (დისერტაცია იმას შეეხება, თუ შაქარს რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლეში). შემდეგ მოწინააღმდეგენი თავის აზრს ამბობენ ქალის ნაწარმოების შესახებ. ქალი დიდის ყურადღებით ისმენს შენიშვნებს, შემდეგ თავის აზრს იცავს ნელის, მაგრამ დაბეჯითებულის ხმით. მეტად საოცარი სანახავია ეს ყმაწვილი ქალი, რომელიც მეცნიერებს ეკამათება მეცნიერების შესახებ, იცავს და ასაბუთებს თავისს აზრს, თავის მიერ განხილულს საგანს. ნახევარ საათის გამოს შემდეგ თავმჯდომარე კვლავ აქებს ყმაწვილს ქალს, რომ დიდის უნარით იცავდით დისერტაციის და ამას გარდა ექვსის წლის განმავლობაში გულ-მოდგინედ სწავლობდითო, და ბოლოს ეუბნება, რომ შეგიძლიანთ გასვიდეთო. ორის წუთის შემდეგ ამბავი გამოდის, რომ ქალი დოქტორად იქმნა ცნობილიო.

საზოგადოდ, ქალის მდგომარეობა ამ უკანასკნელს ხანში ძალიან შეიცვალა, განკარგდა, გაუკეთესდა. მოსწავლე ყმაწვილის ქალის ნახვა ეხლა აღარავის ეუცხოება, თვალში აღარავის ეჩხირება. უწინ საფრანგეთის საზოგადოება და კერძოდ პროფესორები და სტუდენტები მოსწავლე ქალებს დაცინვით შესცქეროდნენ. ეხლა მიეჩვივნენ და სტუდენტი ქალები და გაცები ერთმანეთს მეგობრულად უფრო ექცევიან, ვიდრე მტრულად. ადრე სტუდენტები სცდილობდნენ მოსწავლე ქალები შეეყვარებინათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთმა ქალმა საჯაროდ წკეპლა დაარტყა ურცხვს ამხანაგს სტუდენტს, გაცები უფრო მეტის პატივისცემით ეპყრობიან ქალებს.

თითონ პირადად ველაპარაკე ბევრს პროფესორებსაო, სწერს კორრესპონდენტი: და დავრწმუნდი, რომ ისინი დიდს აღტაცებაში არიან მოსწავლე ქალების გამო და უფრო ქალობად ხელს უწყობენ. ისიც-კი მითხრეს, რომ ექიმი-ქალი ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ქალებისა, ბავშვებისა და თვალის ექიმობას დაიწყებსო. ამას გარდა ზოგიერთი პროფესორები (მაგალითებრ, ბრუარდე-

---

ბული (უეჭველია, გამგებელ-აზნაურშვილზედ), ასე რომ ერისთავი და გამგებელი ერსაც უჩვენებდნენ საიმედო კაცად, დარბაზიც იმას უბოძებდა ხევის-ბერობას. მაგრამ ამორჩევა იმას როდი ჰნიშნავდა, რომ ყველას მიეღო ხევის-ბერობა, არა,—ეს მოხელეობაც ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა, საგვარეულო ნიადაგზედ იყო აღმოცენილი და როცა ყოფილის ხევის-ბერის გვარი ამოწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სხვა გვარის კაცს მიეღო დიდ საპატიო „ლაშქართ თავადობა“. როგორც სჩანს ჩვენის ისტორიიდამ და აგრეთვე თუ ყალბი არ არის ბროსესაგან დასახელებული ქოთრიძის სიგელი [16], ხევის-ბერობა უძველესს დაწესებულებას შეადგენდა, რომელზედაც შემდეგაც გვექნება სჯა.

ხევის-ბერს, ცოტა არ იყოს, ციხის თავი მიაგავს: იმათ საერთო ისა აქვთ, რომ ორნივე სამხედრო კაცნი არიან. საქართველოს სამხედრო გამგეობაში სულ ძველადვე ვპოულობთ ციხისთაობას და ჯერ ისევ დავით აღმაშენებელმა უბოძა ეს მოხელეობა ალიაშვილებს [17]. ციხის-თავის მოვალეობა მარტო ის როდი იყო, რომ თვალყური დაეჭირა და ციხე შეენახა, არა,—ციხის თავს უნდა გაემაგრა და მტრისაგან დაეცვა ციხის მიდამო, მთლად გარეშემო ადგილი. თუმცა ასეა, მაგრამ ციხის-თავი ციხის პატრონი როდია, იგი მხოლოდ ციხის უფროსია (КОМЕНДАНТЪ КРѢПОСТИ), რომელსაც მეციხოვნე ჯარი ემორჩილებოდა. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ციხის-თავს მარტო მთაში-კი არა, სხვაგანაც, როგორც ამას ამტკიცებს ალბუღას სამართალი, სადაც ციხის-თავი, რასაკვირველია, შეცდომით, წოდებულია ქოთლოსანად და არა ქავთლოსნად [18]). ძველად, მეგლის დების დროს, სამცხე-საათაბაგოში ქავთლოსანი მსახურთ აზნაურშვილი უნდა ყოფილიყო და იგი თავის „პატრონს“ ემორჩილებოდა; თვით ქავთლოსნობა ხომ მოხელეობას შეადგენდა. მეგლიც ციხის-თაობას მოხელეობად აღიარებს და ამბობს, რომ სახელმწიფო ანიჭებდა ამ მოხელეობას „ციხის თავად იდგეს ბძანებით“ (მუხ. იგ). არ ვიცით, მთაში რამდენი ციხის-თავი ეყენათ, მხოლოდ სჩანს, რომ ს. ხადაში ორი ციხის-თავი უნდა იყოსო. ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (სხვათა შორის, „ციხეთა დაქცევამ“ გამოიწვია მეგლის დება) და ამიტომ ციხის თაობაც თვალ-საჩინო ხამსახურად ითვლებოდა. ციხის-თავს საკუთარი „სისხლი სდიოდა“ და, ასე განხინჯეთ, იმის ძმისა და შვილის სისხლიც-კი სხვა იყო, ვიდრე უბრალო კაცისა (მუხ. იგ, იდ).

ზემოხსენებულნი ხელისუფალნი შეადგენდნენ ადგილობრივს მმართველობას და იმათ გარდა მეგლი არავის იხსენიებს, თუმცა შეცდომით სხვებსაც უჩვენებენ [19]).

### III

ადგილობრივ მმართველობის ზემოდ იდგა უმაღლესი გამგეობა, რომელიც სატახტო ქალაქში სუფევდა. თითოეული მოხელე, ასე თუ ისე, ამ გამგეობას ექვემდებარებოდა, იმისის ნებისა და წადილის აღმსრულებელი იყო და არა სხვისა ვისიმე. თვით მყოფელად მხოლოდ იგი უმაღლესი გამგეობა უნდა ცნობილ იყოს, ადგილობრივი მმართველობა ხელქვეითი დაწესებულებაა, რომელიც რასაც «დარბაზი» უბძანებს, მხოლოდ იმას აკეთებს. და აი თვით ეს უმაღლესი გამგეობაც.

აქ პირველი ხელი-უფალი ვეზირია. რა იყო ვეზირობა?

ვეზირობა ჩვენის ცხოვრების ნაყოფი არა ყოფილა. ეს უმაღლესი ხელის-უფლება საქართველომ არაბებისაგან მიიღო და წინად, არაბების მფლობელობამდე, ჩვენ სრულიად არ მოგვეპოვებოდა. ვეზირობა მხოლოდ მაჰმადის სწავლამ შეჰქმნა და დაჰბადა, მაგრამ საქართველოშიაც ამ ხელის უფლობას ისეთივე ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც მაჰმადიანთა სახელმწიფოში. იქ ვეზირი ხელმწიფის შემდეგ პირველი კაცია, იმისი თანაშემწე და მარჯვენა ხელია. მაჰმადიანთ სახელმწიფო მოძღვრებამ ორ გვარი ვეზირობა დააწესა: არის ვეზირი, რომელიც სრული და თითქმის დამოუკიდებელი ბატონია და თავის ნებაზედ განაგებს ყველა სახელმწიფო საქმეს, არის ისეთი ვეზირიც, რომელიც ხალიფის ნებასა და ბძანებას ემორჩილება [20]). ჩვენში ამ მეორე ხასიათის ვეზირობა დაარსდა და რადგანაც დამოკიდებული ვეზირი, თვით ყურანის სწავლით, შეიძლებოდა ყოფილიყო რამდენიმე, საქართველოშიაც რამდენიმე ვეზირი იყო ერთსა და იმავე დროს; ამას, ვგონებთ, მეგლის დების წინასიტყვაობაც უჩვენებს, სადაც სიტყვა ვეზირი მრავლობითად იხსენიება—„დავსხედით ვეზირნიო“... ვეზირს დარბაზში პირველი ადგილი ეჭირა და, მეფეს გარდა, ყველაზედ უფროსი იყო. იგი ძველს «ეზოთ-მოძღვარს» როდი მიაგავს, როგორც ჰფიქრობენ [21]). არა,—ვეზირის ასპარეზი უფრო ფართოა, ყველაზედ ხელი მიუწვდება, ყველაფერი ეკითხება. რაც-კი რამე მოეხსენებოდა დარბაზს, უეჭველად ვეზირის პირით უნდა მოხსენებოდა. ერისთავი და გამგებელი ხომ დარბაზს ვერ მიჰმართავდნენ, თუ არა ვეზირის საშუალებით.

თუ ვეზირობა ხელის-უფლობა იყო, დარბაზი კიდევ უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებას შეადგენდა. არსებითი განსხვავება ჩვენის დარბაზისა ისაა, რომ იგი მარტო სათათბირო დაწესებულება არ იყო, დარბაზი კიდეც თათბირობს და კიდეც გამგეობს (совѣщательно - административный органъ). ეს ორი გვარი ხასიათი დარბაზს ცხადად ამჩნევია. გარდა ამისა, მოხელეს გამწესება, მაგალითად ხევის-ბერისა, დარბაზზედ არის დამოკიდებული (ძ.-დ., მუხ. ე და სხ.); იგივე დარბაზი სჯიდა მოხელეების დანაშაულობას. მაშასადამე, დარბაზი უმაღლესს სამოსამართლო დაწესებულებასაც წარმოადგენდა (მუხ. ე). ერთის სიტყვით, ამ დაწესებულებას ყოველ გვარი საქმე ებარა, ყველა უწყება და თითოეული ადგილობრივი გამგეობა აქ იყო თავ-მოყრილი. დარბაზის წევრებად იყვნენ მეფის კარის მოხელენი, თავჯდომარედ თვით მეფე ბძანდებოდა და, რასაკვირველია, მისი ნება და უფლება ყველაზედ მაღლა იდგა, დარბაზზედ არ იყო დამოკიდებული. ერისთავის მოკვლა, მაგ., დამნაშავეს დარბაზით უნდა ჰკითხოდა, მაგრამ მეფეს შეეძლო დარბაზის განაჩენი არ შეეწყნარებინა—„მეფემან იკითხის, რაჟამცა უფრო ძნელად იკითხებოდეს“, ე. ი. ნება აქვს უფრო დიდის სასტიკობით დასაჯოსო... მართალია, მეფე თვით დარბაზსაც ალემატებოდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს მეფეს მხოლოდ თავისი ნება და სურვილი მიაჩნდა კანონად და სხვა არაფერი. არა, მეგლის დების წინასიტყვაობა საუცხოვო საბუთს გვიჩვენებს, რომ, როცა სახელმწიფოს საჭიროება თხოულობდა, მეფე ერის წარმომადგენლებს მოუწოდებდა, იმათ დაეკითხებოდა და მხოლოდ მაშინ დასდებდა განაჩენსა და გადაწყვეტილებას. ერის წარმომადგენლობაში იყო [illegible] მეფობის ძალა და მნიშვნელო[illegible]

(შემდეგი იქნ[illegible]

---

16) Introduction, p. XCVII.

17) Двор. Грам., стр. 42. ჩვენმა სამხედრო გამგეობამ იცოდა აგრეთვე ციხის მეთოფე, თუმცა არ არის გარკვევით ნაჩვენები, რა მოვალეობა ჰქონდა ამ მოხელეს, დასტურლამალი, § 114. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ციხის-ჯარის კაცი იყო, Двор. Грам., стр. 6.

18) თეიმურაზის და თ. წულუკიძის ხელთნაწერში ქართლოსანი და ქოთლოსანია მოხსენებული და ჩვენ არც ერთის სიტყვის მნიშვნელობა არ გვესმისო, ამბობს ბ-ნი დ. ბაქრაძე, Сб. Зак. Вахт. სხოლიო, გვ. 97, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ალბუღას მუხ. ი და ია-ში შეცდომით არის ხმარებული ეს სიტყვები. ციხეს ეხლაც მთაში ქავი ჰქვიან და ეს სიტყვა ძველი სიტყვაა. უნდა იყოს ქავთლოსანი.

19) ბ-ნი დ. ბაქრაძე მამასახლისსაც ასახელებს, Сб. Зак. Вахт., გვ. 82, სხოლიო 4, თუმცა მეგლში მამასახლისი სრულიად არ არის ნაჩვენები.

20) Фанъ-денъ Бергъ, „Основныя начала мусульманскаго права“, стр. 177, 178.

21) Сбор. Зак. Вахт. стр. 84, სხოლიო დ. ბაქრაძისა. ეზოთ-მოძღვარი, როგორც თვით სახელიც აჩვენებს, მეფის კარის ხელის-უფალი იყო. ვეზირი სხვაა, სახელმწიფოს უმაღლესი ხელის-უფალია...

ლი, ლანსერი, შარკო) სანდასან მოსწავლე ქალებს თავის ოჯახშიაც-კი იწვევენ ხოლმე. დიდს პატივს უნდა სცემდეს ფრანგი ადამიანს, რომ თავის ოჯახში ისტუმროს, მეტადრე თუ ის ადამიანი ქალია, სხვა ქვეყნელი და მშობლების მოშორებით ცხოვრობს დიდს ქალაქში. საზოგადოდ აქ, საფრანგეთში, მოსწავლე ქალები არავითარს გაჭირებას არ ებრძვიან. აქ ზოგიერთ სტუდენტებს უნივერსიტეტში აქვთ მუქთად ოთხის წლით სახლი, საჭმელ-სასმელი და ფულადაც-კი შემწეობა ეძლევათ. ამ რამდენისამე წლის წინად ქალებს ნება არა ჰქონდათ დართული უნივერსიტეტის ხარჯით ცხოვრება, მაგრამ ეცადნენ, მხნედ მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და თავისი გაიტანეს. ამ ამბავმა სტუდენტებში მთელი ალიაქოთი ასტეხა, გაზეთებიც-კი ჩაერივნენ ამ უსიამოვნებაში და კაცებს მიემხრნენ. მაგრამ ბოლოს ეს საქმეც მიფუჩეჩდა, სტუდენტები იძულებულნი შეიქმნენ დაჩუმებულიყვნენ, მით უმეტეს, რომ მუქთის სახლისა და საჭმელ-სასმლის დასამსახურებელს კიბრში ამერიკელმა ქალმა კლუმპკემ გაიმარჯვა და ყველას იმან აჯობა.

ამ გვარად, ქალებს აქ არავითარი თავის ტეხა და ბრძოლა არა სჭირდებათ უფლებისათვის. წინანდელმა თაობამ გზა გაუკვალა ეხლანდელს მომდევნოს და ესენიც ყოველისფრით თავისუფლად სარგებლობენ. არც ვინმე მტერი ჰყავთ და არც მომხრე და მოყვარე. პირველი ადგილი თითოეულის საკუთარს ღვაწლს უჭირავს.

ერთის სიტყვით, განხორციელებულია თ. გრ. ორბელიანის სიტყვები: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თავისუფლება—ღირსებას“... ქალს გზა ფართო აქვს და თამამად ამოსდგომია კაცს მხარში, სქესობრივი განსხვავება უყურადღებოდ არის დატოვებული და ვინც კარგად ისწავლის და ნიჭს გამოიჩენს, საუკეთესო ადგილიც იმასა აქვს დაჭერილი. დიაღ, ეხლანდელს ქალს თამამად შეუძლიან თავი მოიწონოს ამ არა-მცირედის გამარჯვებით!..

# დეპეშა

6 დეკემბერი

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ შესრულდა ბრძანება 13 ოქტომბრისა 1889 წლისა შესახებ იმისა, რომ საბოლოოდ გასწორებულიყო ანგარიში სახელმწიფო ბანკთან დროებით მოჭრილის ქაღალდის ფულისა 1878 წლის ომის დროსაო.

ოდესა., ყინვა 10 გრადუსამდეა. მიმოსვლა ოდესისა და დნეპრისა, ბუგისა, დნესტრისა და დუნაის ნავთსადგურებ შუა სრულიად შესწყდა.

ვენა. ღლევანდელს დეპუტატთა პალატის კრებაზედ გრ. ტააფემ სთქვა, რომ ეხლანდელს მდგომარეობაში ხელმწიფოს ინტერესი თხოულობს კონსტიტუციის წყნარსა და თავისუფალი მოქმედებას. აი ამიტომ მთავრობა ისეთს ცვლილებას ვერ შემოიღებს კონსტიტუციაში, რომ იმპერატორი ბოგემიის გვირგვინით იქმნას კურთხეული. ამასთან მთავრობა ერთ გვარის ზრუნვით ეკიდება ბოგემიის ორივე ეროვნების კანონიერს სურვილსაო.

ლონდონი. ემინ ფაშას საშიში ავადმყოფობა სჭირს და ჩქარა მოვა ზანზიბარში.

რეველი. გუშინდელს ქალაქის საბჭოს კრებაზედ კამათობა პირველად რუსულს ენაზედ სწარმოებდა და ექვსი ხმოსანი იღებდა მონაწილეობას. როგორც ეტყობოდა, საქმეთა გარჩევას არ აძნელებდა რუსული ენა.

ლონდონი. აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროებზედ მყოფმა გერმანიის საიმპერიო კომისარმა მაიორ ვისმანმა დაიჭირა წინამძღოლი ბაქშირი და ბრძანება გასცა, რომ ჩამოარჩეთო.

შანჰაიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ კორეაში უწესოება და არეულობა მოხდა და ადგილობრივმა მთავრობამ მეფის მოსაკლელად შემდგარ შეთქმულობას ხელი შეუშალაო. მეფე თანხმობას აცხადებს, რომ ტახტზედ უარს ვიტყვიო.

ლონდონის გაზეთების სიტყვით, პარლამენტი ახ. სტ. 11 თებერვალს შეიკრიბა.

რიგა. გუშინ სალამოს პირველი სხდომა ჰქონდათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ და ამ კრებაზედ კამათობა რუსულს ენაზედა სწარმოებდა.

7 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ, მემკვიდრე ცესარევიჩის სახელ-წოდების დღეს, დიდის ამბით იქმნა გადახდილი წირვა ყველა ეკკლესიებში. ანიჩკინის სასახლის ეკკლესიაში ბრძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი და მთავრინანი და სასახლის მახლობელნი. წირვის შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩს მიულოცეს დღეობა.

„Новое Время“ იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროში შეტანულ იქმნა წესდება სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა, რომელსაც აარსებენ მოსკოვის კაპიტალისტები სპარსეთთან ვაჭრობის გასაძლიერებლად. ძირეული თანხა ბანკს სამი მილიონი ექნებაო.

გაზეთები ამბობენ, რომ პროფესორი ბოტკინი აგერ უკვე სამი კვირაა ლოგინში წევს და დოქტორი ბელოგოლოვი სწამლობსო. ინგლისელი ექიმი ლაუზონდი უარს ამბობს; ავადმყოფი ისეთს მდგომარეობაშია, რომ ოპერაციას ვერ გაუკეთებო.

ბერლინი. აქ დიდი გავლენა აქვს გაზ. „Post“-ის სჯას ვენის „Politische Correspondenz“-ის შესახებ ბერლინის ოფიციოზური გაზეთი ამბობს, რომ „Politische Correspondenz“-ი მავნებელს აზრებსავრცელებს და შეიძლება ამით მოკავშირე სახელმწიფოთა-მიერ მშვიდობიანობის დაცვის საქმეს ხელი შეუშალოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 47 |
| ტრამოუნის კუპონები | — „ | „ | $149^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი | — „ | — „ | $255^3/_4$ |
| —მეორისა | 228 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | “ |
| ღორის ხორცი | „ | “ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ახათიანისა, ფასი | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა | „ | 25 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები;

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხესილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა | „ | 20 |

# ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მე ოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# დედა ენა-ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Тифлисъ 7-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пот. Т. Д. З. Банка па Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.